# 1 ივნისი

რიგითი VII კვირა [III]
(19.V) წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლა, IVს, თ
წმ. იუსტინე წამ.,+~165, (მ), წ

2022

## ოთხშაბათი

საქმ 20,28-38; ფს 67; იო 17,11-19

კახეთის ხიზაბავრის წმ. ნინოს კათოლიკური ეკლესიის დღეობა

ჩემს თავს წმიდავჭეოთ მათთვის იო 17,19

შენი ლოცვის ეს სიტყვები, იესო, შუქია ჩვენთვის. ჩვენი საყარელი ხალხისა და სრულიად კაცობრიობის გადარჩენის საჭიროების წინაშე, ჩვენი სიმცირისა და სიღარიბის მიუხედავად, ვფლობთ ერთ დიდ რესურსს: ჩვენ შეგვიძლია "წმიდავჰყოთ", ანუ მივეძღვნათ მამას, რათა ვიცხოვროთ, როგორც მისმა შვილებმა, შენი მორჩილებით, იესო, რომელიცა ხარ მისი ჩვენთვის ნათქვამი სიტყვა. ამგვარად ნამდვილად გავცემთ სიცოცხლეს ძმათათვის!

# 2 ივნისი

2022



*(20.V) წმ. ღიხსნი ზაბუღონი და სოსანა, წმ. ნინოს მშობღები (IVს.);/წმ. მარცეღინე და პეტრე წამებ. +304*

## ხუთშაბათი

საქმ 22,30; 23,6-11; ფს 15; იო 17,20-26

*რათა ყველა ერთი იყოს* იო 17,21

ამ წმიდა დღეებში ჩვენ, შენი ეკლესია, ვუერთდებით შენს ლოცვას, უფალო იესო და სასოებით ვამბობთ: „მოდი, სულო წმიდაო, შენ, მამასა და ძეს შორის მიმომდინარე სიყვარულო! შენ იყავ ურთიერთობა ჩვენ, იესოს მოწაფეთა შორის! შევიცნობთ მამისა და ძის სიყვარულს და განვავრცობთ მას მთელ მსოფლიოში.
მოდი, სულო წმიდაო! ”

# 3 ივნისი

რიგითი VII კვირა [III]

წმმ. კარლო ლვანგა და მეგ., წამ., + 1886, (მ), წ

2022

## პარასკევი

საქმ 25,13-21; ფს 102; იო 21,15-19

სიმონ, ამათზე მეტად გიყვარვარ? იო 21,15

რა რთული კითხვაა... პეტრემ კი სწორად უპასუხა: „უფალო, შენ ყველაფერი იცი“. ასე რომ, ჩვენც შეგვიძლია მივუგოთ, დიდი მშვიდობით. და თუ არ ვართ დარწმუნებული, რომ პეტრეს მსგავსად შეგვიძლია ვთქვათ: „შენ იცი, რომ მიყვარხარ“, შეგვიძლია ღრმა სასოებით ვთქვათ: „იესო, შენ ყველაფერი იცი ჩემზე. მე, ერთადერთი, რაც უეჭველად ვიცი, არის ის, რომ შენ გიყვარვარ. მე შენს სიყვარულს ვენდობი, შენ მოგენდობი და შენს წმიდა სულს გთხოვ, რათა შენი საკადრისი პასუხი გაგცე“.

# 4 ივნისი



## 2022 შაბათი

საქმ 28,16-20.30-31; ფს 10; იო 21,20-25

*პავლე ... ღებულობდა ყველა მასთან მიმსვლელს* საქმ 28,30

და – განაგრძობს საქმეთა წიგნი – ნახევრად პატიმრობის ადგილიდან, იესოს აუწყებდა ყველა მიმსვლელს. ვეცდები მივიღო თითოეული ადამიანი, როგორც მამის გამოგზავნილი, რათა იესო გავუწოდო მათ: ღიმილით, მოთმინებით, ნუგეშის სიტყვით... ამგვარად ვემზადები ხვალისათვის სული წმიდის ნიჭის მისაღებად.

# 5 ივნისი

**სულთმოფენობა, «გ», დდ, [ს], წ**

## 2022 კვირა

საქმ 2,1-11; ფს 103; რომ 8,8-17; იო 14,15-16.23-26

ბათუმის ახალი კათოლიკური ეკლესიის დღეობა

## სულიწმიდა ყველაფერს გასწავლით

იო 14,26

იესომ მრავალი რამ გვასწავლა, მაგრამ ჩვენ ვერ ვახორციელებთ მათ ცხოვრებაში, ან არ გვესმის, რატომ უნდა შევასრულოთ ისინი. რატომ უნდა მიყვარდეს მტრები? რატომ უნდა მოვერიდო სხვების განსჯას? რატომ უნდა ვატარო ჯვარი? შენ მოხვალ, სულო წმიდაო და მაშინ გავიგებთ ყველაფერს. შენ, შინაგანო მოძღვარო, ჩვენი გონების სინათლევ, ჩვენი გულის ძალავ!

# 6 ივნისი

წმ. მარიამ დედა ეკლესიისა, (მ), [ს], თ

## 2022 ოხშაბათი

საქმ 1,12-14; ან, დაბ 3,9-15.20; ფს: ივდ 13,18-19; იო 19,25-27

ერთსულოვნად გამუდმებულ ლოცვა-ვედრებაში იყვნენ იესოს დედასთან, მარიამთან ერთად საქმ 1,14

იესო ის-ის იყო ამაღლდა ზეცად და მოციქულები მარიამთან ერთად, მის სიტყვისამებრ გულმოდგინედ და თანხმობით ლოცულობდნენ. სულიწმიდა უნდა მოსულიყო, ეკლესია იბადებოდა. გმადლობთ, მარიამ, რომ კვლავ იღებს იესოს დავალებას, იყოს ეკლესიის დედა: წმიდა და უანგარო სიყვარულის დავალებას, რომლითაც მე, იესოს წმიდა სხეულის წევრი, ყოველდღე ვტკბები.

# 7 ᲝᲕᲜᲘᲡᲘ

რიგითი X კვირა [II], მწ

## 2022 ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ

3მეფ 17,7-16; ფს 4; მთ 5,13-16

### თქვენ სოფლის ნათელი ხართ მთ 5,14

ცოტა ხნით ადრე იესომ დახატა ჭეშმარიტი მოწაფის პორტრეტი: არა სიმდიდრეზე დახარბებული, თვინიერი, არასოდეს სასოწარკვეთილი, მამის ნების შესრულება რომ სწადია, გულით სუფთა, მოწყალე, მშვიდობისმყოფელი, მხიარული დევნაშიც კი. ასეთი ადამიანი, ჭეშმარიტად სიყვარულის ლამპარია ბნელ ეგოიზმსა და ძალმომრეობაში ჩაძირულ სამყაროში: ლამპარი, რომელიც აჩვენებს ღმერთის სახეს, რომელიც არის სიყვარული, რომელიც არის მამა.

# 8 ივნისი



## 2022 ოთხშაბათი

3მეფ 18,20-39; ფს 15; მთ 5,17-19

ღმერთია უფალი! 3მეფ 18,39

მთელი ისრაელის ერის რწმენის შეძახილი: უპასუხა უფალმა თავის წინასწარმეტყველ ელიას და ცეცხლი მოუვლინა ზეციდან მის მსხვერპლს. იმ დღეს ყალბ წინასწარმეტყველთა და მათი კერპების სიცრუე გამოვლინდა. დღეს ჩვენ ვკითხულობთ ამ მონაკვეთს ძველი აღთქმიდან: ძვირფასი ქვაა ისრაელის ისტორიაში, რომელიც არ შეიძლება გამოგვრჩეს ღმერთის, იესოს მამის, იგივე აბრაამის, ისაკის და იაკობის ღმერთის შესახებ.

# 9 ივნისი

2022

რიგითი X კვირა [II], მწ

*(27.V) წმ. ღ. ბასიღ ბაგhატ III-ის ძე, XIს;/წმ. ღ. მიქეღ პაhეეღი, VIII-IXს/წმ. ეფhემ დიაკ. და ეკ. მოძღ. +373*

## ხუთშაბათი

3მეფ 18,41-46; ფს 64; მთ 5,20-26

ჯერ შენს ძმას შეეურიგდი მთ 5,24

იესოს ამ სიტყვებიდან გვესმის, რა ყოფილა მნიშვნელოვანი მამის თვალში, რა განსაზღვრავს ჩემი თაყვანისცემის ნამდვილობას. მას არ სჭირდება არანაირი ადათ-წესები, ლოცვები: ის სიხარულით ღებულობს ყველაფერს, რაც სიყვარულის გამოხატულებაა, არა მხოლოდ მის მიმართ, არამედ თავისი შვილების მიმართაც. თუ ძმური, „ჰორიზონტალური“ სიყვარული არ გვაქვს, ვერაფრით დავარწმუნებთ მას, რომ იგი გივყვარს.

# 10 ივნისი



## 2022 პარასკევი

3მეფ 19, 9.11-16; ფს 26; მთ 5,27-32

*გარეთ გადი და დადექი მთაზე
უფლის წინაშე* 3მეფ 19,11

დევნილმა ელია წინასწარმეტყველმა მთაზე გამოქვაბულს შეაფარა თავი. იესოს სიყვარულის ერთგულებისათვის ჩვენც განვიცდით ხოლმე დევნის მომენტებს, ზოგჯერ ჩვენივე ეგოიზმის გამოც. მაგრამ მოდის უფალი, „გარეთ“ გვიხმობს, გვაძლევს მის წინაშე დგომის ნიჭს, გვანუგეშებს, გვაძლიერებს და გვაძლევს სიყვარულის ახალ დავალებას.

# 11 2022

# ივნისი

წმ. ბარნაბა, მოციქული (მ) [ს] წ

## შაბათი

საქმ 11,21ბ-26;13,1-3; ფს 97; მთ 10,7-13

ფასისფიდლოდ მიგიღიათ და
ფასისფიდლოდვე გაეცით მთ 10,8

იესომ უანგაროდ მისცა თორმეტს „ძალა განედევნათ ეშმაკები და განეკურნათ ყოველგვარი სნეულება“, სანამ გაგზავნიდა მათ მოახლოებული ცათა სასუფევლის საუწყებლად. დღესაც ის, ვინც განიცადა იესოს მოსვლა და იგემა ცვლილება, სიხარული, იმედი, სიყვარული, სისავსე, რაც მან უანგაროდ მოიტანა, ვერ შეინახავს მხოლოდ თავისთვის ამ უდიდეს საჩუქარს. ამ გამოცდილებას ეყრდნობოდა წმიდა ბარნაბას გულუხვობაც, რომელმაც ბრძნულად უმეგზურა დიდ მისიონერ წმიდა პავლეს.

# 12 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

**ყოვლადწმიდა სამება, «გ», დდ, [ს], თ**

## 2022 ᲙᲕᲘᲠᲐ

იგ 8,22-31; ფს 8; რომ 5,1-5; იო 16,12-15

სტიგმატელ მამათა დღესასწაული

## იგი განმადიდებს მე

იო 16,14

გმადლობთ, ტკბილო სულო წმიდაო, რომ ადიდებ იესოს, შეგვახსენებ მის სიტყვას, გვეხმარები ამ სიტყვის განხორციელებაში და, ამგვარად, ჩვენი ზეციერი მამის განდიდებაში. დღეს ჩვენ სიხარულით ვგალობთ: „დიდება მამასა და ძესა და სულსა წმიდასა“, ჩვენდამი ერთი დიდი სიყვარულით რომ შეერთებულან!

# 13 ივნისი





## 2022 ორშაბათი

3მეფ 21,1-16; ფს 5; მთ 5,38-42

ვინც მოისურვებს შენი მოსასხამის წაღებას, სამოსელიც თან გაატანე მას მთ 5,40

ის, რა თქმა უნდა, დიდი გულით მექცევა, ცოტა არ იყოს, სიცოცხლეს მართმევს... მაგრამ ის ჩემი ზეციერი მამის შვილია, ის ჩემი ძმაა: ვინ იცის, რა გზამ მიიყვანა იგი ამ ბოროტებამდე! მას სიყვარული სჭირდება. იესო მთხოვს, არ განვიკითხო იგი, არამედ ვუწილადო მას ცოტაოდენი მისი სიყვარული: ამგვარად მასში შვილი გაცოცხლდება!

# 14 ივნისი



## 2022 სამშაბათი

3მეფ 21,17-29; ფს 5; მთ 5,43-48

იყავით სრულყოფილნი,
როგორც თქვენი ზეციერი მამაა
სრულყოფილი მთ 5,48

ორი დღის წინ ჩვენ ვჭვრიტეთ ჩვენი ერთი
და სამება ღმერთი, ღმერთი, რომელიც არის
სიყვარული. ქეშმარიტი ღმერთის ქეშმარიტი
ხატი მუდამ ცოცხალი დარჩება ჩვენს გულებსა
და გონებაში: ჩვენს ცხოვრებასაც დაეხმარება
სრულყოფაში, ანუ მის სიყვარულზე, სრულყო-
ფილ სიყვარულზე მოდელირებაში, რადგან ის
ღვთაებრივია და არც კი არის განპირობებული
ჩვენი უმადურობით.

# 15 ივნისი



## 2022 ოთხშაბათი

4მეფ 2,1.6-14; ფს 30; მთ 6,1-6.16-18

შენი მამა, რომელიც ხედავს
დაფარულში, მოგიზღავს მთ 6,18

გაუცნობიერებლად ჩვენ დიდად ვართ დამოკიდებულნი იმაზე, თუ სხვები რას იფიქრებენ და იტყვიან ჩვენზე, ეს კი ხელს უშლის ჩვენს შინაგან თავისუფლებას.
გმადლობთ, იესო, რომ გვითხარი, რომ რწმენის მეშვეობით მამა ბინადრობს ჩვენს გულებში და რომ ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია ვიცხოვროთ მასთან ურთიერთობაში. შენი მადლით ვეცდები გავიზარდო ამ შინაგან ცხოვრებაში, დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი თავისუფლებაც და ჩემი სიხარულიც გაიზრდება.

# 16 ივნისი

**უწმიდესი ხორცი და სისხლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, «გ», დდ, [ს], თ**

ცალკეულ სამრევლოებში შეიძლება აღინიშნოს დამდეგ კვირადღეს

## 2022 ხუთშაბათი

დაბ 14,18-20; ფს 109; 1კორ 11,23-26; ლკ 9,11b-17

### თავადვე მიეცით მათ საჭმელი ლკ 9,13

მოციქულებმა გაუგონეს და ხუთმა პურმა, რაც მოეძევებოდათ, ყველა დაანაყრა. შენ, იესო, იმთავითვე ხედავდი, შენი მოციქულების ხელიდან ჩვენკენ გამოწვდილ ახალ პურს, ნამდვილ შიმშილს რომ გვიკლავს: ამგვარი საჩუქრის მოფიქრება მხოლოდ შენს სიყვარულს თუ შეეძლო, პური, რომელიც გვაერთიანებს შენთან... ეს შენ ჯვრად დაგიჯდა! გმადლობთ, ჩემო იესო!

# 17 ივნისი



## 2022 პარასკევი

4მეფ 11,1-4.9-18.20; ფს 131; მთ 6,19-23

სადაც შენი საუნჯეა,
შენი გულიც იქვე იქნება მთ 6,21

ამ დედამიწაზე მრავალი საგანძური ბრჭყვიალებს, რომლებიც მუდამ სიხარულს მოწყურებულ ჩვენს გულებს იზიდავს: სილამაზე, კარიერა, მეგობრობა, ფული... მაგრამ ყველა მათგანი მყიფეა, სიხარულის მწვერვალზე მიგატოვებენ ხოლმე, ვერც ნამდვილ სიხარულს ვერ იძლევიან. მხოლოდ იესო არ გვატყუებს და არასოდეს გვტოვებს: მხოლოდ მას დავუკავშიროთ ჩვენი გულები!

# 18 ივნისი



## 2022 შაბათი

2ნეშტ 24,17-25; ფს 88; მთ 6,24-34

### ვერავინ ემსახურება ორ ბატონს მთ 6,24

ვერავინ ემსახურება ორ ბატონს, მით უმეტეს, თუ ერთი მათგანი ღმერთია. ის სინამდვილეში ბატონი კი არა, მამაა. მაშასადამე, მასთან ან შვილობრივი ნდობის ურთიერთობაა და მის სიყვარულზე პასუხი, ან არაფერი. მეტიც, თუ ეს ურთიერთობა არ არსებობს მასთან, ადგილს იკავებს თავკერძობის, ფულის, მიწიერ საგანთა და ვნებათა მონობა.
მამაო, მწადია შენი მადლის დანახვის უნარი მქონდეს შენს შვილს: შენ გასაოცრად ზრუნავ ჩემზე!

# 19 2022

# ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ

**რიგითი XII კვირადღე, «გ», [IV], მწ**

(ცალკეულ სამრევლოებში შეიძლება აღინიშნოს
უწმიდესი ხორცისა და სისხლის დიდდღესასწაული)

## ᲯᲕᲝᲠᲐ

ზაქ 12,10.11;13,1; ფს 62; გალ 3,26-29; ლკ 9,18-24

## თქვენთვის კი, ვინ ვარ? ლკ 9,20

ყოველი სულის შემომკრები და ყოველივეს
შემოქმედი შენი მარჯვენა შენ მიალურსმე
სიკვდილი ჩარხზე, ჯვარის ნიშანზე, რომ
დაგემსხვრია შენი წმიდა ნებისადმი
შეწინააღმდეგების სითამამე ჩემში.
(წმ. გრიგოლ ნარეკელი)

# 20 ივნისი



## 2022 ოთხშაბათი

4მეფ 17,5-8.13-15.18; ფს 59; მთ 7,1-5

ჯერ შენი თვალიდან დირე ამოიღე მთ 7,5

მართალი ხარ, იესო! ჩემი თვალი დაბინდულია ამდენი მინარევისაგან: შური, სიძუნწე, სიამაყე, დაუდევრობა... შენ განწმიდე ჩემი გული და მისგანვე მომდინარე მზერა. მაშინ დავინახავ მამის სიყვარულს, რომელიც გარემოიცავს ყოველივეს – მე, ყოველ ძმას, ყოველ ადამიანს, და ამ სიყვარულის იარაღად ვიქნები.

# 21 ივნისი

2022

რიგითი XII კვირა [IV]

წმ. ალოიზი გონძაგა, ბერი, +1591, (მ), თ

## სამშაბათი

4მეფ 19,9-11.14-21.31-35.36; ფს 47; მთ 7,6.12-14

ნუ მისცემთ სიწმიდეებს ძაღლებს მთ 7,6

იესოს როდი სურს დოყლაპია გულუბრყვილონი ვიყოთ, არამედ ბრძენნი და გამჭრიახნი. თუ ვინმე მკითხავს ჩემი რწმენის საიდუმლოებების შესახებ იმისათვის, რომ დამცინოს და შეურაცხყოს ისინი, მე არ დავეხმარები მათი ახსნით, არამედ კამათში შესვლის გარეშე განვაგრძობ მის სიყვარულს მოთმინებით. სიტყვებსა და შეგონებებზე მეტად, სწორედ ამგვარ მოწმობას შეუძლია დაეხმაროს მათ, ვისაც უფლის სიყვარულისათვის კარი მიუხურავს და ეწინააღმდეგება მას.

# 22 ივნისი

2022

რიგითი XII კვირა [IV], მწ

*წმ. პავლინ ნოლადან, +431;*
*წმმ. იოანე ფიშერი, ეპ. და თომას მორი, წამ., +1535*

## ოთხშაბათი

4მეფ 22,8-13; 23,1-3; ფს 118; მთ 7,15-20

### თუფრთხილდით ყალბ წინასწარმეტყველებს მთ 7,15

დღესაც, სამწუხაროდ, ცრუწინასწარმეტყველები არიან და ხშირად ჩვენგან არც თუ ისე შორს, თვით ჩვენს გულებშიც კი... მშვენიერ რამეებს გვპირდებიან, მაგრამ სიკვდილამდე მივყავართ. გმადლობთ, იესო, რომ გვიცავ და გვაძლევ ნათლეს მათ გამოსააშკარავებლად: რა ნაყოფი მოაქვთ მათ? შენთან, შენს ჯვართან, შენს ეკლესიასთან მაკავშირებენ მჭიდროდ თუ მაშორებენ შენგან, ეკლესიისგან, ჯვრისგან?

# 23 ივნისი

**წმ. იოანე ნათლისმცემლის შობა, დდ, [ს], თ**

## 2022 ხუთშაბათი

ეს 49,1-6; ფს 138; საქ 13,22-26; ლკ 1,57-66.80

*რა იქნება ეს ყრმა?* მთ 7,29

ის უდაბნოში იცხოვრებს, მარტო თავის ღმერთთან ერთად; ზეგარდმო მიიღებს სიტყვას; მოუხმობს ერს მოქცევისაკენ; მიუთითებს ღვთის კრავს; ის იქნება მისი მოწმე, მისი მოწამე. მას სხვა სიქადული არ ექნება, გარდა იმისა, რომ იყოს სიძის მაყარი, იესოს მეგობარი!

# 24 ივნისი

**იესოს ღმრთაებრივი გული, «ბ», დდ, [ს], თ**

## 2022 პარასკევი

ეზეკ 34,11-16; ფს 22; რომ 5,5ბ-11; ლკ 15,3-7

ხიზაბავრის (ასპინძა) კათოლიკური ეკლესიის დღეობა

*ჯერ კიდევ, როცა ცოდვილნი ვიყავით, ქრისტე მოკვდა ჩვენთვის* რომ 5,8

ხშირად მეკითხებიან ხოლმე მუსლიმები: "რატომ ატარებთ ჯვარს? რატომ გიყვართ ჯვარი? განა ის უკიდურესი დამცირებისა და სირცხვრილის ნიშანი არაა?" ჩუმად მისმენენ და მიყურებენ, როდესაც ვცდილობ, რომ მათი ენით ასე გადმოვცე ჩემი სათქმელი: "ჩემთვის, ისევე, როგორც ყოველი ქრისტიანისთვის, ჯვარი ამბობს: აჰა, არსებობს ვიღაც, ვინც შეგიყვარა და ვისაც უყვარხარ ესოდენ ძლიერ".

# 25 2022

# ივნისი



ნეტ. ქალწ. მარიამის უმანკო გული (მ), თ

*(12.VI) წმ. ღიხსი ისიდორე სამთავნელი, მონაზონი, VIს; წმ. იოანე-თოხნიკე მთაწმიდელი, Xს*

## შაბათი

**გოდ 2,2.10-14.18-19; ფს 73; მთ 8,5-17**

## წადი და, როგორც ირწმუნე, ისე მოგეგოს მთ 8,13

**იესოს ეს პასუხი ასისთავის ლოცვაზე, მას ერთ-ერთი სნეული მსახურისათვის რომ ევე-დრებოდა, პასუხობს ჩემს კითხვას, რომელიც არაერთხელ დამისვამს: "რატომ არ ისმენ ჩემს ლოცვას?". ახლა მივხვდი: იესო არ მისმენდა თუ, უფროორე, მე არ მჯეროდა...?**
**იესო, დამეხმარე ჩემს მცირე სასოებაში!**

# 26 ივლისი

**რიგითი XIII კვირადღე, «გ», [I], მწ**

## 2022 კვირა

3მეფ 19,16.19-21; ფს 15; გალ 5,1.13-18; ლკ 9,51-62

## წავიდნენ სხვა სოფლისაკენ ლკ 9,56

სამარიის იმ სოფელმა არ მიგიღო, იესო, რაკი
იერუსალემისაკენ გეჭირა გეზი, ქალაქისკენ, რო-
მელიც უცხო იყო მათი ღვთისმსახურებისათვის.
იერუსალიმში შენ უნდა მიგეძღვნა მამისათვის
საკუთარი თავი, ღვთისათვის სათნო ნამდვილი
სულიერი მსახურება.
მეც მინდა ვიყო ის „სხვა სოფელი“, ვინც შემო-
გიერთდება მამის ჭეშმარიტ თაყვანისცემაში;
იესო, შემეწიე!

# 27 ივნისი

2022

რიგითი XIII კვირა [I] მწ

*წმ. კიჩიღე აღექსანდჩიეღი, ეპ. და ეკღ. მოძ., +444*

## ოჩშაბათი

ამ 2,6-10.13-16; ფს 49; მთ 8,18-22

*კაცის მეს არსად არა აქვს*
*თავის მისადრეკელი* მთ 8,20

ამ სიტყვებით იესო პასუხობს მისით აღფრთოვანებულ ადამიანს, რომელმაც უთხრა: "მოძღვარო, გამოგყვები, სადაც კი წახვალ". გმადლობ, იესო, ვინაიდან გვიცავ, რომ ძალზე დარწმუენბულნი არ ვიყოთ საკუთარ თავში და რომ ზერელე ენთუზიაზმმა არ გვძლიოს; შენი გზა აღმართია, ის ჯვრის გზაა. მაგრამ მას ჭეშმარიტი და უჭკნობი ბედნიერების მიზნამდე მივყავართ.

# 28 ივნისი

რიგითი XIII კვირა [I]

წმ. ირენეოსი, ეპ. და წამ., +~202, (მ), წ

## 2022 სამშაბათი

ამ 3,1-8; 4,11-12; ფს 5; მთ 8,23-27

### თეფალო, გვიხსენი, ვიღუჯებით მთ 8,25

აღელვებულ ზღვაში მოწაფეთა შიში გამოწვეული იყო იმით, რომ არ იცნობდნენ იესოს; შემდეგ ეკითხებოდნენ ერთმანეთს: “ვინ არის ეს, ქარებიც და ზღვაც რომ ემორჩილებიანო?”. ჩემი შიშების მიზეზიც ხომ ისაა, რომ ვერ ვიაზრებ, ვისთან მაქვს საქმე და მის ძალაზე მეტად დავენდო მის სიყვარულს. თუმცა, ასეთ წუთებშიც შემიძლია ნდობით შევძახო: "მიხსენი, იესო! ეული, უშენოდ ვიღუპები!".

.

# 29 ივნისი

**წმ. პეტრე და პავლე მოციქულნი დდ, [ს], ნ**

## 2022 ოთხშაბათი

საქ 12,1-11; ფს 33; 2ტიმ 4,6-8.17-18; მთ 16,13-19

თბილისის წმ. პეტრესა და პავლეს კათოლიკური ეკლესიის დღეობა. შესაწირავი პაპისათვის.

*თქვენ კი რას იტყვით: ვინა ვარ მე?* მთ 16,15

წმიდაო პეტრე, იესო კმაყოფილი დარჩა შენი პასუხით, დაინახა მასში სული წმიდის მოქმედება. ნამდვილად შენცა და წმიდა პავლეც, დღეს შენთან ერთად რომ ვიხსენიებთ, სული წმიდამ მიგიყვანათ სიყვარულის სისავსემდე და იესოს მოწმეები გაგხადათ!
ახლა კი ზეცაში გალობთ ალელუიას, და ჩვენც ნუ დაგვივიწყებთ, ამქვეყნად მომლოცველ თქვენს უპოვარ ძმებს.

# 30 ივნისი

2022

რიგითი XIII კვირა [I], მწ

*წმ. შაღვა ახაღციხელი, +1227;*
*ხომის ეკლესიის წმიდა პიხვეღმოწამენი, +64*

## ხუთშაბათი

ამ 7,10-17; ფს 18; მთ 9,1-8

### შენი ცოდვები მოგეტევა მთ 9,5

**რაოდენ ლამაზი, დიდებული, მანუგეშებელი და მაცოცხლებელია შენი ეს სიტყვა, იესო! ყოველ-თვის, როცა გულში შეგთხოვ შენდობას, მზად ხარ მეც გამიმეორო ეს, ხოლო ხელშესახებად და უეჭველად მეუბნები მას, როცა შერიგების საი-დუმლოში მოვდივარ შენთან.**
**გმადლობთ, იესო!**